

ჩაბარების პირობები სამაგისტრო პროგრამებზე

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ხორციელდება ორი სამაგისტრო პროგრამა:

1. „არქიტექტურა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია „არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი“ შემდეგი სპეციალიზაციებით: შენობა-ნაგებობების არქიტექტურა, ურბანული დაგეგმარება; ლანდშაფტური არქიტექტურა; გარემოს დიზაინი; ინტერიერის დიზაინი;

2. „არქიტექტურათმცოდნეობა“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი“;

სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“ არჩევის შემთხვევაში თქვენ უნდა ჩააბაროთ საერთო ეროვნული გამოცდა.

საერთო ეროვნული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის შესაბამის კომისიასთან აბარებთ სასპეციალიზაციო გამოცდას: „არქიტექტურის თეორია და კლაუზურა“.

სასპეციალიზაციო გამოცდა მოიცავს ორ კომპონენტს:

1.არქიტექტურის თეორია - წერთი გამოცდა წინასწარ დადგენილი საკითხებით შედგენილი საგამოცდო ბილეთების მიხედვით, (საკითხები შეირჩა სამაგისტრო პროგრამის სპეციალიზაციების შესაბამისად), თვითოეულ ბილეთში შედის 4 საკითხი.

2. კლაუზურა - კლაუზურა გულისხმობს ესკიზური პროექტის შექმნას კონკრეტულ თემაზე (თემები წინასწარ არ არის ცნობილი და შერჩეულია სამაგისტრო პროგრამის სპეციალიზაციების შესაბამისად), რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს გრაფიკულად ფაკულტეტის მიერ გაცემულ A1 ზომის ფორმატზე (მაგისტრანტობის კანდიდატმა ესკიზური პროექტი ხელით უნდა შეასრულოს. იგი თავისუფალია აირჩიოს ნებისმიერი გრაფიკული საშუალება (ფერადი ფანქარი, გუაში, აკვარელი და სხვა).

წარმოსადგენი მასალა:

ესკიზური გეგმა/გეგმები (ძირითადი ზომების და ღერძების მითითებით)- მასშტაბი 1:50 ან 1:100;

ესკიზური ჭრილი - მასშტაბი 1:50 ან 1:100;

მოცულობითი ჩანახატები/შიდა სივრცის ჩანახატი

ფორმატზე დატანილი იდეის აღმწერი მოკლე ტექსტი

სურვილისამებრ სტუდენტს დამატებით შეუძლია წარმოადგინოს ქალაქის მოდელი.

კლაუზურა ჩატარდება თეორიული წერითი გამოცდის დასრულების შემდეგ, იმავე დღეს. დრო გამოყოფილია 3 საათი.

კლაუზურის შეფასების დროს ძირითადი ყურადღება გამახვილდება არქიტექტურული და მხატვრული აზროვნების, გრაფიკული წარმოდგენის ხარისხზე. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ არქიტექტურული იდეის გამოსახვის ფლობას.

სასპეციალიზაციო გამოცდის შეფასების მისაღებად თითოეულ კომპონენტის შეფასების ქულას მიეყენება შესაბამისი კოეფიციენტი (თითოეული კომპონენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით) თეორიულ გამოცდას 0.4, კლაუზურას - 0.6 და იკრიბება.

შეფასების კრიტერიუმები არქიტექტურის თეორიაში

საგამოცდო ბილეთი მოიცავს 4 საკითხს. თითოეულ საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით - სტუ-ს მიერ მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად.

შეფასების კრიტერიუმები:

21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ლიტერატურა.

16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას.

11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

შეფასების კრიტერიუმი კლაუზურაში

ნამუშევარი ფასდება 4 კრიტერიუმით. ა) და დ) კრიტერიუმების შეფასების მაქსიმალური ქულაა 20; ბ) და გ) - მაქსიმალური ქულაა 30.

ა)საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით;

16-20 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია. კომპოზიციური განაწილება კარგია. წარმოდგენილია მაღალ დონეზე.

11-15 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით სრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ კომპოზიციური განაწილების მხრივ აღინიშნება ნაკლოვანებები.

6-10 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით არასრულია. მასშტაბი დაცულია, მაგრამ პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული.

1-5 ქულა-საპროექტო დავალების პირობები პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით ნაკლოვანია. პროექტის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გამოხაზული. მასშტაბი დარღვეულია.

0 ქულა-მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ სეზლო საპროექტო დავალების პირობების დაცვა პროექტის შემადგენლობის თვალსაზრისით.

ბ)პროექტის გრაფიკული შესრულების ხარისხი.

26-30 ქულა-გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით, შესრულებულია მაღალ დონეზე.

15-25 ქულა-გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი სრულია. იგი სრულად არის დამუშავებული ზომების მითითებით. მაგრამ შესრულების ტექნიკა დასახვეწია.

10-14 ქულა- გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ზომები არ არის მითითებული.

1-9 ქულა - გრაფიკული შესრულების თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. მისი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დამუშავებული. ზომები არ არის მითითებული.

0 ქულა - მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო პროექტის გრაფიკული შესრულება.

გ)პროექტის მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული ხარისხი/არქიტექტურული იდეის და მხატვრული აზროვნების ხარისხი.

26-30 ქულა - მხატვრული-ესთეტიური თვალსაზრისით სრულია და შესრულებულია მაღალ დონეზე.

15-25 - მხატვრული-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

10-14 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი სრულია. ნაწილობრივ გათვალისწინებულია მასალების ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

1-9 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის გათვალისწინებული მასალის ფაქტურა, კოლორისტიკა, ანტურაჟი.

0 ქულა - მხატვრულ-ესთეტიური და პროფესიული დონე დაბალია.

დ) პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობა

16-20 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარება გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია და სესრულებულია მაღალ დონეზე.

11-15 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი სრულია, მაგრამ პროექტის წარმოდგენის პროფესიული ხარისხი დასახვეწია.

6-10 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი არასრულია. ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა დაცულია, მაგრამ გაუაზრებელია ტექნოლოგიური პროცესი.

1-5 ქულა - ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი გადაწყვეტის თვალსაზრისით პროექტი ნაკლოვანია. არ არის დაცული ფუნქციის და ფორმის შესაბამისობა.

0 ქულა - მაგისტრანტობის კანდიდატმა ვერ შეძლო პროექტის ფუნქციურ-ტექნოლოგიური და გეგმარებითი მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა.

სამაგისტრო პროგრამა: „არქიტექტურათმცოდნეობა“

სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობის“ არჩევის შემთხვევაში თქვენ უნდა ჩააბაროთ საერთო ეროვნული გამოცდა.

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის შესაბამის კომისიასთან აბარებთ სასპეციალიზაციო გამოცდას: „არქიტექტურის ისტორია და თეორია“.

სასპეციალიზაციო გამოცდა ტარდება მხოლოდ თეორიულ ნაწილში წერითი სახით, (წინასწარ სედგენილი ბილეთებით, ტვიტოეულ ბილეთში შედის 4 საკითხი) რომელიც ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

შეფასების კრიტერიუმები „არქიტექტურის ისტორია და თეორია“

საგამოცდო ბილეთი მოიცავს 4 საკითხს. თითოეულ საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით - სტუ-ს მიერ მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად.

შეფასების კრიტერიუმები:

21-25 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ლიტერატურა.

16-20 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს საკითხის შესაბამის მასალას.

11-15 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; სპეციალური ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს საკითხის შესაბამის მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

6-10 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

1-5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; სპეციალური ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.